შპს „ მერკური“-ს

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2

სრული შემოსავლების ანგარიში 3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 4

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 6

შპს „ტერკური"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	3	383,877	486,870
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	3,105,985	2,478,556
გაცემული ავანსები	5.1	21,543	23,493
სასაქონლო და მატერიალური მარაგები	6	172,114	130,136
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	76,369
არამატერიალური აქტივები	7	12,625	12,385
ძირიათადი საშუალებები	8	155,277	160,362
სხვა გრძელვადიანი აქტივები		21,346	-
სულ აქტივები		**3,872,767**	**3,368,171**
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,277,238	2,777,011
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ	10	24,033	69,025
მიღებული ავანსები	5.2	14,310	7,629
სულ ვალდებულებები		**3,315,582**	**2,853,665**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	200	200
გაუნაწილებელი მოგება	11	556,985	514,306
სულ საკუთარი კაპიტალი		**557,185**	**514,506**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი — გურამ სანაია

მთავარი ბუღალტერი — ნინო ვარადაშვილი

შპს „მერკური"

მოგება - ზარალისა და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ლარი

დასახელება	2021 წელი	2020 წელი
სულ წმინდა შემოსავალი	**8,703,393**	**7,159,121**
სულ თვითღირებულება	**(6,914,995)**	**(5,719,418)**
საერთო მოგება	**1,788,398**	**1,439,703**
შრომის ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა სარგებელი	(1,030,338)	(774,446)
კომუნიკაციის, კომუნალური და ლოჯისტიკური ხარჯი	(39,186)	(28,709)
იჯარის ხარჯი	(72,512)	(209,519)
მარკეტინგული და კომერციული ხარჯი	(39,323)	(18,869)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(463,405)	(184,745)
რემონტის ხარჯი	(8,255)	(1,660)
საპროცენტო შემოსავალი	9,438	5,205
საგადასახადო ხარჯი	(74,749)	(45,487)
საიჯარო შემოსავალი	6,115	6,654
ბანკის საკომისიო ხარჯი	(2,584)	(2,362)
მოგება ცვეთის, საპროცენტო ხარჯისა და მოგების გადასახადის გარეშე	**73,600**	**185,765**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(30,921)	(24,574)
მოგება საპროცენტო ხარჯისა და მოგების გადასახადის გარეშე	**42,679**	**161,191**
საპროცენტო ხარჯი	-	-
მოგება გადასახადის გარეშე	**42,679**	**161,191**
წმინდა მოგება	**42,679**	**161,191**

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

გურამ სანაია

მთავარი ბუღალტერი

ნინო ვარადაშვილი

მპს „პერკური"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი

დასახელება	**2021 წელი**
ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
ფულადი შემოდინებები საოპერაციო საქმიანობიდან	7,891,425
სხვა საოპერაციო ფულადი შემოდინებები	
მომწოდებელთან გადახდილი თანხები	(6,418,809)
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,122,394)
კომუნიკაციის, კომუნალური და ლოჯისტიკური გადასახადები	(59,863)
იჯარაზე გადახდილი ფული	(91,534)
მარკეტინგი და კომერცია	(7,349)
საკონსულტაციო მომსახურებობა	
რემონტი	(7,017)
გადახდილი გადასახადები	
ბანკის საკომისიო	(2,508)
იურიდიული მომსახურეობა	(6,490)
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი	
სხვა საოპერაციო გადინებები	(267,807)
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(92,345)**
ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(20,086)
არამატერიალური აქტივების შეძენა	
სესხის გაცემა / უკან დაბრუნება	
მიღებული პროცენტი	9,438
სულ ფული და ფულადი სახსრები საივეწვესტიციო საქმიანობ	**(10,648)**
ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
სესხის აღება / უკან დაბრუნება	
პროცენტის გადახდა	
დივიდენდის გაცემა	
აქციების ემისია	
მიღებული გრანტი	
სულ ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	486,870
ფული და ფულადი სახსრები ცვლილება პერიოდის განმავლობ	(102,993)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	383,877

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

გურამ სანაია

მთავარი ბუღალტერი

ნინო ვარადაშვილი

შპს „მერკური"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება ანგარიშგება

დასახელება	წაშთი 31.12.2021	წაშთი 01.01.2021
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	421,640	514,306
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	135,345	
გაცხადებული დივიდენდი		
დაუფარავი ზარალი		
სულ კაპიტალი	**557,185**	**514,506**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

გურამ სანაია

მთავარი ბუღალტერი

ნინო ვარადაშვილი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. **კომპანია და მისი საქმიანობა**

კომპანიის საფირმო სახელწოდება: შპს მერკური

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404513353

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 11/05/2016

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N47/57

დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: g.tamazi@mail.ru

მმართველობის ორგანო - პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა დირექტორი - გურამ სანაია (01030016801)

პარტნიორები - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ედლაინი, 205284789, 100% წილის მმართველი.

- ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ; საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება; - მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება და მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის" (IFRS for SMEs) მიხედვით.

აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 31 დეკემბერი. კომპანიის ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდისათვის ეფექტურ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი არ გამორიცხავს ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებების საჭიროების წარმოქმნის შესაძლებლობას.

მენეჯმენტი ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რამდენადაც ის არ შეიცავს შესადარ ფინანსურ ინფორმაციას, რამდენადაც კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ შეღავათს, „სარეკომენდაციო მითითებას ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით".

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ზოგადად, ისტორიული ღირებულება დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოთ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება ის თანხაა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად, ჩვეულებრივი გარიგების პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღისათვის.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონირებად საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები ჩაიწერება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაყვანა ანგარიშის პერიოდასთვის ხდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოსთვის არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:

- ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, რომელიც მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში, ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მატარებელია. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია დეტალურად აანალიზებს სავაჭრო მოთხოვნებს, და მენეჯმენტის უშუალო ჩართულობით, ერთიანი შემუშავებული ფორმით ახდენს ფინანსური რეზერვის სამართლიანი ოდენობის განსაზღვრას.

პირველ რიგში თითოეულ სავაჭრო მოთხოვნაზე ხდება იმის ინდივიდუალური ანალიზი, ხომ არ არსებობს რწმუნება, რომ კომპანია არსებულ დავალიანებას საერთოდ ვერ დაფარავს. ამ შემთხვევაში შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნა დარეზერვდება 100 %-ით.

ასევე ფასდება, ხომ არ არის დავალიანების რაიმე ნაწილი, რომელსაც კლიენტი არ ეთანხმება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნაწილი დარეზერვდება ასევე 100% -ით, ხოლო დარჩენილი თანხა შეფასდება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოთხოვნების დღეების მიხედვით ჩაშლა ამ პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით დარეზერვებას:

< 30 დღე	< 45 დღე	< 60 დღე	< 90 დღე	< 180 დღე	< 360 დღე	> 360 დღე
0%	1%	2%	5%	10%	50%	100%

თუ არსებობს კომპანიის მენეჯმენტის არგუმენტირებული რწმენა, რომ დავალიანება აუცილებლად სრულად დაიფარება, მაშინ ასეთ კონკრეტულ კლიენტზე რეზერვი აღარ შეიქმნება. ასევე,

ეფექტიანობა ლიუდვიკით და აუდიტორიებით, შესაძლებელია კონკრეტულ დეტალურ დაკვალიანებაზე რეზერვის ინდივიდუალური წესით განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება შემდეგნაირად: მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების შეკეთება, მოხდენისთანავე, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს წრფივ მეთოდს, რათა მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მოხდეს მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებები იყოფა 8 სხვადასხვა ჯგუფად და თითოეულ ჯგუფზე განსაზღვრულია ცვეთისათვის წლების რაოდენობა:

1	საოფისე ავეჯი	7-10 წელი
2	კომპ. ტექნიკა	5-7 წელი
3	მანქანა-დანადგარები	10-20 წელი
4	ტრანსპორტი	5-10 წელი
5	შენობა-ნაგებობები	35-50 წელი
6	არამატერიალური აქტივი	10 წელი
7	საოფისე ტექნიკა	5-7 წელი
8	სხვა ინვენტარი	3-7 წელი

ნარჩენი ღირებულება ის სავარაუდო ღირებულებაა, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდის გადახედვა ხდება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში იცვლება.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებად აკლასიფიცირებს აქტივებს (მიწა; შენობები; ან შენობის ნაწილი; ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს და იყენებს საიჯარო შემოსავლების მიღების ან მისი საბაზრო ღირებულების პოტენციური ზრდის გამო, ან ორივე მიზნით. გარდა ისეთი მიზნებისა, როდესაც გამოიყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის, და საქმიანობის სფეროში სხვა მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და უშუალოდ მიკუთვნებად ნებისმიერ დანახარჯებს.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება შეფასებულია თვითღირებულების მოდელით, რომლის მიხედვითაც საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება ბასს 16 -ის „ძირითადი საშუალებები" მოთხოვნების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
შენობა	35

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მაშინ, თუ მოხდა ქონების გასვლა ან შეწყდა მისი ამ მიზნით გამოყენება და ამის გამო მოსალოდნელი აღარ იქნება ეკონომიკური სარგებელის მიღება. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და მოხდება სხვაობის აღიარება მოგება-ზარალში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითველბა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, თუკი [illegible], კომპანიას არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (მიღებული და გადახდილი საკომისიოების ჩათვლით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) ან მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხების აღრიცხვა

კომპანიის მიერ გაცემულ სესხზე, შემდეგი ორი კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში, კომპანია შეაჩერებს პროცენტის დარიცხვას:

ა) 1 წლის განმავლობაში არ მომხდარა არც პროცენტის, არც ძირითადი თანხის მიღება (როდესაც ეს შეთანხმებული გრაფიკით გათვალისწინებული იყო)

ბ) არსებობს მენეჯმენტის შეფასება, რომ ვერ მოხდება გაცემული სესხის მიღება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ხდება განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს უკანასკნელი იჯარას. ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზეა დაფუძნებული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით მიმდინარე პერიოდის შემოსავლად და აღირიცხება „სხვა შემოსავლების" მუხლში.
კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული, ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია, როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, ვინაიდან კონტროლის გადაცემა ტრანზაქციისთანავე ხდება.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს, მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის ფასდათმობის, საქონლის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დასკვნის თარიღისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება ესტონური მოდელის შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან

დაკავშირებულ დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც გახდებულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

მარაგების აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით, უწყვეტი აღრიცხვის გზით. თუ მოხდა მარაგების გაუფასურება, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მომავალში ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე. იმ შემთხვევაში როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, მაგრამ თუ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების ან ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც თანახა წინასწარ იქნა გადახდილი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარი გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და ყოველგვარი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება დასაქმებულთა მიერ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო

[illegible] ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა უშუალოდ ეხება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს.

განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

- *ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.* ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება .შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე.მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

3. ფულადი სახსრები და მათი ეквივალენტები

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
ფული და ფულადი სახსრები	486,870	10,738,015	10,841,008	383,877
სულ ფული და ფულადი სახსრები	**486,870**			**383,877**

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,478,556	13,048,297	12,420,868	3,105,985
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,478,556**			**3,105,985**

5. ავანსები

5.1 გაცემული ავანსები

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
გაცემული ავანსები	23,493	5,322,574	5,346,067	21,543
სულ გაცემული ავანსები	**23,493**			**21,543**

5.2 მიღებული ავანსები

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
მიღებული ავანსები	7,629	1,398,919	1,405,600	14,310
სულ მიღებული ავანსები	**7,629**			**14,310**

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
სასაქონლო და მატერიალური მარაგები	130,136	9,959,784	9,917,806	172,114
სულ სასაქონლო და მატერიალური მარა	**130,136**			**172,114**

7. არამატერიალური აქტივები და ამორტიზაცია

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
არამატერიალური აქტივები	20,030	2,000		22,230
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	7,645		1,961	9,605
სულ არამატერიალური აქტივები	**12,385**			**12,625**

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება:

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
ძირიათადი საშუალებები	227,984	23,874		251,858
ძირიათადი საშუალებების ცვეთა	67,621		28,960	96,582
სულ ძირიათადი საშუალებები	**160,361.72**			**155,277**

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,777,011	9,998,917	10,499,144	3,277,238
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2,777,011**			**3,277,238**

10. სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრ	69,025	1,095,383	1,050,391	24,033
სულ სახელფასო და სხვა დავალიანება	**69,025**			**24,033**

11. კაპიტალი

დასახელება	ნაშთი 01.01.2021	სად. ბრ.	საკ. ბრ.	ნაშთი 31.12.2021
გაუნაწილებელი მოგება	514,306	58,661,670	58,704,349	556,985
საწესდებო კაპიტალი	200	0	0	200
სულ გაუნაწილებელი მოგება	**514,506**			**557,185**

გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა.

კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

12. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტრორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და (დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა გახსაზღვრავს აქ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღომ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

13. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძვნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდენლი ფულადი

სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საბაზრო **განაკვეთების** მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო **რისკი** და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

14. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება,* ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

გურამ სანაია

მთავარი ბუღალტერი

ნინო ვარადაშვილი